



სვეტიცხოველი

ყოველ კვირეული ორგანო

№ 2

კვირა 3 იანვლისთვის 1917 წ.

№ 2

პოლიტიკური ვითარება

და

საქართველოს კლასიკა

რუსეთის პოლიტიკური ვითარება განსაკუთრებულ კრიზისშია! გენერალ კორნილოვმა შეიარაღებული აჯანყება მოახდინა, იგი ეშურებოდა პეტროგრადის ასაღებად და რევოლუციურ მთავრობის გადასაყენებლად. თუმცა ყოფილი მთავარსარდალი ამ ჟამად შეპყრობილია და მისი მთავარი შტაბი დაქსაქსულია, მაგრამ ეს გარემოება ჯერ კიდევ არ ჩაითვლება კონტრ-რევოლუციის სრულ დამარცხებად: ძლიერ ღრმად გაუდგამს ფესვები რეაქციურ აზროვნებას, მეტად მნიშვნელოვან წრეებში შეუტანიათ უკმაყოფილება არსებულ მართვადამეგობის წინააღმდეგ, ამიტომ საფიქრებელია, რომ ახლო მომავალში მაინც ვერ გაიწმინდება რუსეთის პოლიტიკური ცა და, მაშასადამე, რევოლუციური ხალხი მუდამ მზათ უნდა იყვეს სიურპრიზებისათვის.

საითკენ უჭირავს თვალი საქართველოს ეკლესიას? ვის ემხრობა იგი, რომელი მხარის გამარჯვებაშია დაინტერესებული?


არსებითად ჭეშმარიტი ქრისტიანული ეკლესია უნდა ემხრობოდეს იმგვარ სახელმწიფო წესწყობილებას, რომელიც მეტ თაოსნობას, მეტ თავისუფლებას ანიჭებს პიროვნებას, რადგანაც რელიგიური თვალსაზრისით ყოველი პიროვნება — ინდივიდი — წარმოადგენს თვითმყოფ არსებას, და მისი ზრდა და განვითარება უზრუნველყოფილი უნდა იქმნეს გარეშე,

თუნდაც ხელმწიფების მქონე, ძალებისაგან. დესპოტიური წესწყობილება ვერ შეურიგდებოდა ამგვარ შეხედულობას, ვინაიდან ამ წყობილების დედა-აზრი იმაშია, რომ განუსაზღვრელი უფლებით აღიჭურვოს მბრძანებელი, მმართველი, ხოლო ხალხის კრებული იმყოფებოდეს მის ტირანის ქვეშ, მოკლებული ყოველ მოქალაქობრივ უფლებას.

ივერიის ეკლესია, საბედნიეროდ, არ თანაუგრძობდა „ცეზარებაიზმის“ იდეას, ხოლო მისი ფაქტიური მდგომარეობა რუსეთის თვითმპყრობელობაში იმგვარი იყო, რომ ეს ეკლესია აუცილებლივ უნდა ჩამდგარიყო თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეთა შორის. ისტორიის მიზარებელი რეჟიმი მთელი საუკუნის განმავლობაში ჰჯაბნიდა ქართველთა ეკლესიას, ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ მის დამხობას სიხარულით შეჰვედა უძველესი მართლმადიდებელი ეკლესია.

რუსეთის თვითმპყრობელობის ან მის მსგავს წყობილების დამკვიდრება მოასწავებს ავრთვე უწმიდესი სინოდის გაძლიერებას, რომელიც შესანიშნავ საეკლესიო მეცნიერის პროფესორ ნ. ბერდიაევის დახასიათებით, არის განზრწნილ მთავრობისაგან რუსეთის ხალხისთვის თავზე ძალათ მოხვეული, არ არის ეკლესიური წესებით არჩეული, მაშასადამე, წარმოადგენს ანტი-კანონიურ დაწესებულებას, რომელსაც მართლმადიდებელ რუსეთის ხალხის საუკეთესო ნაწილი ყოველთვის ზიზღით ეპყრობოდა! („ნაროდოპრავსტო“ 1917 № 7).

საქართველოს ეკლესიის ბედი და უკეთესი მომავალი მქილროთ დაკავშირებულია რუ-



სეთის რევოლუციასთან. უკანასკნელის გაძლიერება აღამაღლებს და საბოლოოთ განათავისუფლებს ჩვენს ეკლესიას, რადგანაც წარმოუდგენელია დემოკრატიული-ხალხოსნური მართვა-გამგეობა, რომელიც არ იგულისხმებდეს ფართო თვითმართველობას ცხოვრების ყოველ დარგში, მაშასადამე, საეკლესიო სფეროშიაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციის დამარცხების დღე იქნება დღე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის დასამარებისაც.

ამ აზრით უნდა იყოს გამსჭვალული ყოველი ქართველი ღვთის მსახური, რომელიც წრფელად აღიარებს საქართველოს სამოციქულო და კათოლიკე ეკლესიის დამოუკიდებლობას რუსეთის სინოდისაგან. ეკლესიის ქეშმარიტ მოკეთის სახელს იგი დაიმსახურებს, უკეთუ სულითა და გულით თანაუგრძნობს ხალხთმართველობას და მის დამყარების საქიროებას შეიტანს ქართველ ხალხშიაც.

რ- ინგილო.

სამკლესიო კრებისათვის

31 აგვისტოს მოხდა საეკლესიო კრების ტექნიკურად მომწყობ კომისიის კრება პ. გოთუას თავმჯდომარეობით, რომელსაც დაესწრნენ დეკ. კ. კეკელიძე, დეკ. ა. თოთიბაძე, ს. გორგაძე, ი. ცინცაძე, თ. სახოკია, ა. ყანჩელი, ბ.ნი გველეხიანი, ს. კაკაბაძე.

კომისიის დადგენილებანი მოხსენდა დროებით მართველობის კრებას 1 სექტემბერს.

კომისიამ 31 აგვისტოს კრებაზედ დაადგინა:

- 1) დაიბეჭდას დელეგატთათვის საეკლესიო კრებაზედ შესასვლელი ბილეთები.
- 2) მანდატების გამორთმევა და სამაგიერო ბილეთების მიცემა უნდა დაიწყოს 7 ენკენისთვის ეპარქ. სასწავლებელში და შემდეგ გაგრძელდეს სიონში ცალკე კომისიის მიერ, რომელშიაც არჩეულნი არიან მღვ. ქრის. თხინვალელი, მღ. ერ. ფხალაძე, ნიკო კურდღელაშვილი და სოსო ივანიძე. კომისიის თავმჯდომარეთ იქნება მღ. აღ. მიქელაძე. ერთმანეთთან შეთანხმებით ამა კომისიის წევრნი მოაწერენ ბილეთებს ხელს.
- 3) პრესის წარმომადგენელთათვის გაიმართოს ცალკე სტოლი სიონში და მიეცეს უფლება თითო გაზეთს თითო წარმომადგენელი იყოლიოს და მიიღოს შესაფერი ბილეთი. პრესის სტოლის ხელმძღვანელობა მიენდო მღ. ილია შუბლაძეს.
- 4) პანსიონი დელეგატთათვის უნდა გაიმართოს ეპარქ. სასწავლებელში 200 კაცი-

თვის და თუ საკმარისი არ იქნა ვაჟთა პანსიონი პანსიონის მომწყობ კომისიაში არჩეული არიან: ეკონომი მღ. ეგნ. მენთეშაშვილი, რაისო თოხაძე, ვასილ გოგინოვი, იოს. ივანიძე, კომისიის თავმჯდომარეთ და მოლარეთ მღვდ. აღ. მიქელაძე.

სამკლესიო კრების სამართო წესრიგი, კომისიის მიერ შემუშავებული.

8 **სამტამხარის** დილას სიონში მწირველად ბრძნდება კათალიკოსის მოსაყდრე ეპისკოპოსთა თანამწირველობით. დიდუბეში და ქვაშეთში სწირავენ ეპისკოპოზნი. სიონში წირვის დასრულების შემდეგ—გამოცხადდება დრ. მმართველობის განკარგულება კრების მოწვევის შესახებ.

პარაკლისის დასრულების შემდეგ კათალიკოსის მოსაყდრე აცხადებს საეკლესიო კრებას გახსნილად. წირვისა და პარაკლისის ცერემონიას იმუშავებს საგანგებო კომისია ყდ სამღვდლო ანტონის თავმჯდომარეობით. შემდეგ გაიმართება კრების ეკლესიური ცერემონიალი საღამოს 8 საათზედ გაიმართება ეპარქიალურ სასწავლებელში წევრთა კერძო თათბირი.

აგრეთვე უნდა დასახელებულ იქნას სხვა და სხვა კომისიის წევრები.

კერძო თათბირმა საღამოს უნდა დასახელოს სამანდატო კომისის 5 წევრი, პრეზიდიუმის 6 წევრი (თავმჯდ. ამხანაფნი) და 16 მდივანი.

უნდა წაკითხულ იქნას „გარიგება“ და კრებაზედ განსახილველ საკითხების სია.

9 **სამტამხარის** კრებას თავმჯდომარეობს მოსაყდრე. არჩევა პრეზიდიუმისა და სამანდატო კომისიის.

9 სექტ. საღამოს კერძო თათბირი.

10 სექტემბერს კრება დაიწყება 12 საათზედ სიონში.

პაპვასილის ეპარხოსი პლატონი და საქართველოს ეკლესია.

რუსეთის საეკლესიო კრებაზედ მოსკოვში 25 აგვისტოს ყოფილმა საქართველოს ეპარხოსმა პლატონმა ითხოვა სიტყვა წესრიგის გარეშე და განაცხადა: „მე ეს ეს არის მივიღე ტფილისიდან დეპეშა, რომელიც მაიძულებს მე განუუცხადო კრებას ფრიალ სამწუხარო ჩემთვის, როგორც კავკასიის ეპარხოსისათვის, ფაქტი.

საქართველო გამოეყო მართლმადიდებელ



ეკლესიას და გამოაცხადა თავისი თავი ავტოკეფალურად. 14 მარტს სამმა ეპისკოპოსმა განმიცხადა, რომ მე ფაქტიურად და იურიდიულად გადაყენებული ვარ თანამდებობიდან, წამართვეს საკათედრო ტახარი, მე და მთელს რიგს რუსეთ გამოაცხადეს ტფილისში ბოიკოტი. ბერებს მოეპყრნენ შეუბრალებლად, არ დაზოგეს ცემითა, შეურაცხყოფით და დახვრეტასაც ემუქროდნენ. ძნელია რუს ადამიანისათვის განაპირა ქვეყანას ცხოვრება, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორც კავკასია, ჩვენ ერთი ბიჯითაც უკან არ დაგვიხვეია და მტკიცედ გვეჭირა ხელში მართლმადიდებლობის დროშა. როდესაც მე ტფილისიდან წამოვედი, ვთხოვე კომისარს ამიერ-კავკასიისას დაეცვა ეკლესიის ინტერესები ჩემს ტფილისში არ ყოფნობისას და მანაც აღმითქვა. მაგრამ ი დღეს მივიღე დეპეშა, საიდანაც სჩანს, რომ ქართველების ბრბომ ქართველ ეპისკოპოსს ლეონიდის მეთაურობით და მილიციის მონაწილეობით, დაიჭირა ექსარხოსის სახლი, დაბეჭდა ეკლესია, მოითხოვა გასაღები კარებისა და კიდევ დააპატიმრა რამოდენიმე პირი. ყველაფერი ეს მაშინვე შეატყობინეს პროკურორს და მთავრობის სხვა წარმომადგენლებს.

ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ვინმეს რამე დავუთმოთ საეკლესიო ქონებიდან და ამიტონ ვთხოვეთ კრებას მიიღოს ეს მხედველობაში და შევიდეს მართლმადიდებელ ხალხის მდგომარეობაში კავკასიაში.

თავჯდომარის წინადადებით კრებამ გამოიტან პროტესტის დადგენილება, რომელიც ეცნობა დროებით მთავრობას.

ამის შემდეგ კათედრაზე აღის წინა დღით პეტროგრადიდან ჩამოსული სარწმუნოებათა მინისტრის ამხანაგი კოტლიარევსკი, რომელმაც განუცხადა, რომ მთავრობა სრულს ანგარიშს უწყევს იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშია ცაა ეხლა ამიერ-კავკასიის მართლმადიდებელი ერიო. საქართველოს ავტოკეფალიის განსახორციელებლად ის გზა რომელიც კავკასიის ექსარხოსმა გვაუწყა, ნამდვილ გზად არ ჩიითვლება. ერთადერთი გზა მისთვის -- ეს შექმათ ნხლებელ კომისიის შედგენაა, რომელიც გამოარკვევს, რა ეკუთვნის ქართულს და რუსულს მართლმადიდებელ ეკლესიას კავკასიაში. რაც შეეხება ამ აღმაშფოთებელ ამბავს, სამინისტრო სრულიად უერთდება კრების პროტესტს და საჭიროდ მიაჩნია უკანსკნელ ზომების მიღება თვითნებობით ტაციობის წინააღმდეგ. სამინისტრო ზომებს მიიღებს, რომ შემათანხმებელ კომისიამ მალე მოქმედება დაიწყოსო.

ეს მორიგი გამოლაშქრება მიტროპოლიტ პლატონისა ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ თავის თავად იმდენად მჭერმეტყველია, რომ კომენტარებს არ საჭიროებს. მიტრ. პლატონი, როგორც მისი სიტყვებიდან სჩანს, არც გვეთვის ქართველებს მართლმადიდებლობად. მართლმადიდებლობა და რუსობა, მისი აზრით, სინონიმი. ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთი საბუთი მიეცა, თუ რას უნდა გამოელოდეს იგი სინოდალურ მღვდელ-მთავრებისაგან.

თბილისის მილიციის უზროხის მოხსენება კომისარს ა. ჩხენკელს.

(შესახებ ექსარხ. სახლის დაჭერისა)

წინააღმდეგ პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტოს ცნობისა მოსკოვიდან 23 ამა მარიაპოლისთვისა მასზედა, „რომ ვითოც ქართველთა ბრბომ ქართველ ეპისკოპოსს ლეონიდეს მეთაურობით და მილიციის მონაწილეობით ძალით დაიჭირა ექსარხოსის სახლი, დაბეჭდა ეკლესია, მოითხოვა კასის გასაღები და დააპატიმრა ზოგიერთი სასულიერო პირი“, მოვალეობად ვსთვლი მოგახსენოთ: დღის ორ საათზე, 23 ამა მარიაპოლისთვისა, მე მივიღე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს მომართვა ჩემდამი № 909, შემდეგი შინაარსისა: „ბ. თბილისის საქალაქო მილიციის უფროსს. მას შემდეგ, რაც დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა ძირითადი საფუძვლები უფლებრივი მდგომარეობისა საქართველოს ეკლესიისა რუსეთის სახელმწიფოში, ექსარხოსის თანამდებობა გაუქმებულია. სახლი, რომელშიაც სცხოვრობდა საქართველოს ეგზარხოსი, განთავისუფლდა არა თუ მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტიურადაც, რადგანაც დღეს მასში აღარავინა სცხოვრობს.

რადგან ეს სახლი შეძენილია საქართველოს ეკლესიის ხაზინის მიერ (იხ. საქმე სინოდალურ კანტორისა 1849 წ. № 5036), საქართველოს ეკლესიის დროებითმა მართველობამ დაიკავა ეს სახლი ადგილ-სამყოფელად მასში კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრისა, ქვემო სართული კი ეთმობა, თუ მოისურვებენ, საცხოვრებლად ამიერ-კავკასიის რუსის ეკლესიის წარმომადგენლებს იმ დრომდის, სანამ გამოიჯნული იქნება რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესები. გაცნობებთ რა ამას, დროებითი მართველობა უმორჩილესად გთხოვს თქვენ წარმოგზავნოთ უფლებამოსილი პირი შესადგენად სხვათა ქონების საჭირო სიისა და აგრეთვე გამოგზავნოთ სავაო რიცხვი დარაჯთა დასაცავად ახლა ამ სახლში მცხოვრებ პირთა, სრუ-

ქართული
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო

ლიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი თბილისისა ლეონიდე.“

იმავე დღის საღამოს ხუთ საათზე მე წარვეგზავნე საექზარხოსოს სახლში, სხვათა ქონების მისაღებად შესაფერის ზომებისა და შიგ მცხოვრებ პირთა დასაცავად ერთი ჩემი თანაშემწეთაგანი, რაზედაც წინათვე ვაცნობ მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოს ცენტრის თავმჯდომარეს და ამიერ-კავკასიის კომიტეტის საგანგებო წევრის რწმუნებულს.

საექზარხოსო სახლში მილიციამ მიიღო შემდეგი ზომები: რათა დაცულ იქმნას ქონება, ვიდრე გამიჯნული იქნება რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესები, დაბეჭდა გვარის საყდარი საექზარხოსო სახლთან, რომელშიაც ინახება განძეულობა, მოიყვანა ცნობაში ყოველი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა პირადად ყოფილ ექზარხოსს საქართველოსას პლატონს, დააწყო იგი ცალკე ოთახში და იგიც დაბეჭდა. რადგანაც ექზარხოსის სახლის ყოფილმა ეკონომმა მღვდელ-მონაზონმა სერაფიმემ გადაჭრით უარი სთქვა ქონების ჩვენებაზე, რომელიც ეკუთვნოდა სახლს, და რომ წარმოადგინოს შემოსავალ-გასავლის წიგნები და კასა ფულებით და ფასიანი ქალაღლებით, მილიციამ დაბეჭდა აგრეთვე ის ოთახი, რომელშიაც ინახებოდა საბუთების ქალაღლები და ცეცხლმიუკარებელი სკივრი. ამ ოთახის გასინჯვის დროს მღვდელ-მონაზონმა სერაფიმემ მოინდომა ჩაედვა ჯიბეში ორი დიდი ხვეული ფულისა, რომელიც მან ცეცხლმიუკარებელ სკივრიდამ ამოიღო, მაგრამ დროზედ იქმნა შენიშნული. ეკონომის ასეთმა ქცევამ აიძულა მილიცია დაენიშნა მასზე საგანგებო მეთვალყურეობა, რომ თავიდან აეცდინა საეკლესიო ქონების გაფლანგვა მის მიერ. როცა გასინჯეს ზემო სართული, სასტუმრო ოთახის კედლებზე აღმოჩნდა ნ სურათი რომანოვთა გვარისა, მათ შორის ალექსანდრე III, ყოფილი მემკვიდრისა ალექსისა და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა, ხოლო ქვემო სართულში იმავე სახლისა—სურათები ნიკოლოზ II (გდაღებულია მემკვიდრედ) და მის დედისა მარიამ რომანოვებისა. როცა ბერ-მონაზონის სერაფიმეს ბინაზე მივიდა მილიციის წარმომადგენელი, იქ იყვნენ ორი მოქალაქე და ორი მონაზონი მამკოდის მონასტრისა. ეს პირნი გარს ესხდნენ მაგიდას და სვამდნენ ღვინოს. შემდეგ, რადგანაც მიტროპოლიტი ლეონიდე ოფიციალურად მატყობინებდა, რომ სინოდალური კანტორის არქივიდამ იტაცებენ ძვირფას საბუთებს, მე მივიღე ზომები არქივის დასაცველად, მაგრამ კანტო-

რის მოხელეთ მაინც ხელმეუშლილად იქნა ვათ საქირო საბუთები საგანგებო ბარათებით. როცა საექზარხოსო სახლში მოვიდა მილიცია, არავინ ყოფილა დაპატიმრებული და ყველა იქ მყოფთ უფლება მიეცა თავისუფლად შესვლავასვლისა. 24 მარიაშობისთვის ჩემთან იყო ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ა. ხარლამოვის რწმუნებული წერილობითი ბრძანებით მისჯან, ხელი შევეწყო მას საექზარხოსო სახლის ქონების სიის აღწერაში; რწმუნებულმა განმიცხადა მე, რომ ქონების აღსაწერად შედგენილი იქნება შემათანხმებელი კომისია რუს-ქართველთა სამღვდლო პირთაგან. მე განკარგულემა მოვასდინე დახმარება აღმოუჩინონ მას, მაგრამ სიის შედგენას არ შესდგომიან, რადგანაც რუსის საზღვდელოებამ უარი სთქვა მონაწილეობა მიიღოს შესათანხმებელ კომისიაში. მილიციის მიერ მიღებული ზომები ქონების აღსაწერად ნებადართულია კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ა. ხარლამოვის მიერ.

უფროსი თბილისის საქალაქო მილიციისა
ყაჩუხოვა.

29 მარიაშობისთვე 1917 წ.
ქ. თბილისი.

**ფსი, რომელი იმხნების ხელთდასხმა-
სა ზედა მაისკოპოზისა.**

უწყებად ჯერ-არს ყოველთა, ვითარმედ ნუ ვინ სადმე იკადრებს გარდასლვად და დარღუევად კანონთა მათ საქართველოსა ეკლესიისათა, ნეტართა მამათმთავართა და მღვდელთმთავართაგან დადებულთა, რომელ არს: „თვინიერ მცხეთისა დიდისა სამოციქულოისა ეკლესიისა ყოველითურთ დაყენებულ არს ხელისდასხმაი მღვდელთმთავრობითი სხუასა ეკლესიასა შინა. ხოლო თუ სადმე იკადროს ვინ გარდასლვად კანონისა ამის ჩუენისა, ხელისდასხმელიცა იგი კრებაი და ხელდასხმულიცა იგი განკუეთილ არნ“.

განწესებულსა დღესა შეკრებებინ კათალიკოზისა თანა ეპისკოპოზნი დიდსა შინა ეკლესიასა წინაშე წმიდისა სუეტისა, სადა იგი მახლობელ მდგომარე არს საყდარი სამამათმთავროი და მას ზედა სდგას დასაჯდომელი კათალიკოზისაი; მარცხენით და მარჯუენით სდგანან მღვდელთმთავარნი და შემდგომად მათსა არქიმანდრიტნი, დეკანოზნი და სხუანი სამღვდლონი. კათალიკოზი და მღვდელთმთავარნი მოსილ არიან მანტიითა, ხოლო სხუანი სამღვდლონი—სამღვდლოითა სამოსლი-



ქართული
ეკლესია

თა. მიაღწევინ კათალიკოსსა ოლარს, სამკ-
ლავესა და მცირესა ომფორსა და შეიმოს იგი
მათ გამოარჩეული, მოსილი მანტიითა, სდგას
საკურთხეველსა შინა; ორნი უპირატესნი არ-
ქიმანდრიტნი გინა თუ დეკანოზნი გამოიყვანენ
მას ჩრდილოის კარით, წინაძღობითა კანდელა-
კისა და პროტოდიაკონისა ჯუარითა და აიაზ-
მისა წყლითა, და დადგინებენ პირის-პირ უწ-
მიდესისა მამათმთავრისა. ბრძანებითა უწმიდესისა
მამათ-მთავრისათა იქმნების „გამოცხადე-
ბაი“ ერთისა რომელისამე მღუდელთმთავრი-
საგან ესრე სახედ:

„პატიოსანო არქიმანდრიტო (ანუ წინამ-
ძღუარო, დეკანოზო, ხუცეს-მონაზონო, მღუდელ-
ლო, სახელი), სამღუდლონი და საერონი დას-
ნი აწ დაქურობებულისა (სახელი ეპარქიისა)
სამწყსოისანი, კურთხევითა და თანხმობითა
უწმიდესისა და უნეტარესისა მამათმთავრისა
ჩუენისა (სახელი კათალიკოზისა), ბრძანებენ
დადგინებად შენდა ეპისკოპოსად ღვთივ-დაც-
ვულისა ქალაქისა (ანუ ადგილისა სახელი)“.

გამორჩეული მიუგებს:

„ვინაითგან სამღუდლომ ნ და საერომან
დასმან ღვთივ-დაცვულისა (სახელი ეპარქიისა)
სამწყსოისამან, კურთხევითა და თანხმობითა
უწმიდესისა და უნეტარესისა მამათმთავრისა
ჩუენისა (სახელი კათალიკოზისა), ბრძანა დად-
გინებაი ჩემი მსახურებასა ამას ზედა, ვჰმად-
ლობ მას, მორჩილ ვარ ბრძანებისა მისისა, მი-
ვიღებ და არა რას მცირესა წინააღმდეგობსა
ვიტყვი“.

შემდგომად ამისა პროტოდიაკონი იტყვის:
„გუჰკურთხენ მეუფეო“. კათალიკოზი: კურთხეულ
არს ღმერთი ჩუენი... მუნ მდგომარენი მღუდელთ-
მთავარნი და სამღუდლონი: ამინ. იწყებს პირ-
ველმდგომარე მღუდელთმთავარი: მეუფეო
ზეცათაჲ, წმიდაჲ ღმერთო, დიდება და აწღა, უფ-
ლადწმიდაჲ სულებო, მამო ჩუენო. კათალიკოზ-
მან: რამეთუ შენი არს სუფუჲა... მღუდელთმთა-
ვარნი და სამღუდლონი ჰგალობენ ტროპარ-
სა ამას, ხმა ც:

„კურთხეულ ხარ შენ ქრისტე ღმერთო
ჩუენო, რომელმან ყოვლად ბრძნად მეთევზუ-
რნი გამოაჩინენ, მიჰფინენ რა მათ ზედა ყოვ-
ლად წმიდაი სული შენი, და მათ მიერ ყოვე-
ლი სოფელი მოინადირე, კაცთმოყუარე დი-
დება შენდა“. დიდება და აწღა.

კონდაკი, ხმა ც: „რაჟამს იგი გარდამოხ-
და და ენანი შეურიენა, მიმოდაყუნა მაღალ-
მან ნათესავნი, ხოლო აწ რაჟამს ცეცხლისა
ენანი განუყვნა, ერთბამად მოიყვანნა იგინი,
ამისთვისცა ერთობით ვ დიდებდეთ სულსა ყოვ-
ლად წმიდასა, თანასწორსა მამისა და ძისასა“.

პროტოდიაკონმან წარსთქუას კურთხეულსა:
„შეგვიწყალენ ჩუენ ღმერთო დიდითა წყა-
ლობითა შენითა...“

მერმეცა გვედრებით უწმიდესისა და უნე-
ტარესისა მამათმთავრისა ჩუენისა, სრულიად
საქართველოის კათალიკოზ პატრიარქისა (სახე-
ლი) და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათა ჩუენ-
თათვის.

მერმეცა გვედრებით ყოვლად პატიოსნი-
სა არქიმანდრიტისა (გინა თუ წინამძღურისა,
დეკანოზისა, მღუდლისა, მღუდელ-მონაზონისა,
სახელი), აღრჩეულისა ეპისკოპოსად ღვთივდა-
ცვულისა ქალაქისა (ანუ ადგილისა, სახელი).

მერმეცა გვედრებით ყოველთა ძმათა და
ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა-
თვის.

მღუდელთმთავარნი და სამღუდლონი იტ-
ყვიან: „უფაჲ შეგვიწყაღენ“, სამგზის. კათალი-
კოზი: რამეთუ მოწყალე და კაცთმოყუარე ღმერთი
ხარ...“

პროტოდიაკონი: საბრძნით. მგალობელთა:
უპატრიარქესა ქრებინთასა... დიდება და აწღა...
უწმიდესო მეუფეო გუჰკურთხენ.

კათალიკოზი: „დიდება შენდა ქრისტე
ღმერთო, სასოებაო ჩუენო დიდება შენდა.“

განტევება: „რომელმან სახითა ცეცხლი-
სა ენათათა ზეცით გარდამოუვლინა ყოვლად
წმიდაი სული წმიდათა მოწყაფეთა და მოციქულ-
თა თვისთა ქრისტემან ჰეშმარიტმან ღმერთმან
ჩუენმან...“

შემდგომად განტევებისა პროტოდიაკო-
ნი იტყვის მრავალ-ჟამიერს კათალიკოზსა, ახ-
ლად აღრჩეულსა, სამწყსოსა მისსა და სრუ-
ლიად საქართველოის ეკლესიასა. ამისა შემ-
დგომად ახლად გამორჩეული იგი წარმო-
სთქუამს სამადლობელსა სიტყუასა და დასასრულ
თაყუანის სცემს კათალიკოზსა, ხოლო კათალი-
კოზი ჰყოფს კურთხევასა, თავსა მისსა ზედა
გამომსახუელი ნიშისა ჯუარედად წმიდითა მით
ჯუარითა, და მკურთხეული წყალსა აიაზმისასა.

დღესა ხელდასხმისასა იქმნების შესლოვაი
ეკლესიად წირვად განმზადებულთა აღრჩეუ-
ლითურთ, შემთხუევაი ხატთაი და შემოღვაი
წესისაებრ. შემდგომად ჟამობის განსრულები-
სა მღუდელთმთავარნი და თანაშორველნი სა-
მღუდლონი გამოვლენ საკურთხეველით სა-
შუალ ეკლესიისა და დაიქერენ განწესებულსა
ადგილსა, ხოლო ახლად გამორჩეული დარჩე-
ბის საკურთხეველსა შინა. მოვალნ წინაშე კა-
თალიკოზისა უპირატესი დეკანოზი და პროტო-
დიაკონი და თაყუანის სცემენ აღმოსავალით,
მოიქცევიან კათალიკოზისად და, თაყუანისმცე-

ქართული
კათოლიკობა

მელნი მისნი, ამბორს უყოფენ ხელთა, თავთა მათთა ზედა კურთხევისა გამომსახუელთა; და კულად შთამოღრულნი ქუე თაყუანის სცემენ კათალიკოზსა და ესრეთ ჰყოფენ შესლვისა წმიდად საკურთხეველად, დეკანოზი უკუე კართთა მარჯუენითა, ხოლო პროტოდიაკონი კართთა მარცხენითა. ახლად გამორჩეული იგი, შემოსილი ყოვლითავე სამღუდელოითა შესამოსლითა, მიიყვანების მათაგან წინაშე წმიდისა ტრაპეზისა, და მიიყვანებელნიცა იგი და მიყვანებული თაყუანის სცემენ წმიდასა ტრაპეზსა და ამბორს უყოფენ და კულად თაყუანის სცემენ. მაშინ დეკანოზი უპყრობს მკლავსა მარჯუენესა ახლად გამორჩეულსა მას, ხოლო პროტოდიაკონი მარცხენესა, და ესრეთ ჰყოფენ გამოყვანება' ა მისსა, დააყენებენ წინაშე ამბიონისა, და ზომაქცეველნი პირისპირ კათალიკოზისა, დაადგინებენ განზხადებულსა „არწივისა“ ზედა არა საშუალ, არამედ ფრხთა ზედა ოდენ, და ესრეთ თაყუანის სცემენ სამეგზის კათალიკოზსა. პროტოდიაკონი ჰქადაგებს ხმაბაღლად:

„მოიყვანების ღვთის მოყუარე არქიმანდრიტი (ანუ წინამძღუარი, დეკანოზი, მღუდელი, მღუდელმონაზონი, სახელი), გამორჩეული და დამტკიცებული ეპისკოპოსად ღვთივდაცულისა ქალაქისა' (-ნუ ადგილისა, სახელი)“.

შემდგომად ამისა ჰყოფს კითხვასა კათალიკოზი გამორჩეულისა მის მიმართ ესრეთ:

რამდისა მიხეზისთვის მახუელ წინაშე ზუენს?

მიუგებს: „მღუდელთმთავრებითასა მადლისა მოდებად, უწმიდესა მამა“.

კათალიკოზი ჰკითხავს:

„და ვითარ გრწამს?“

ხოლო ახლად გამორჩეულსა მას უპყრიეს ხელთა შინა წერილი მართლმადიდებლობითისა სარწმუნოებისაი, რომელსა შინა წერილსა წარკითხვით აღიარებს და იტყვის:

„მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა; ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჰეშმარტი ღმრთისაგან ჰეშმარტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამსა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩუენთვის კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამონდა ზეცით და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განჰკაცნა. და ჯუარს ეცუა ჩუენთვის

პონტოელისა პილატეს ზე, და იგნატი და ეფლა. და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა. და ამადღა ზეცად და მჯღამარე არს მარჯუენით მამისა. და კულად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ. და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-ყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მასისა თანა და ძისა თანა თაყუანისცემების და იღადების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყუელთა მიერ. ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლის-ღებასა მოს ტევებელად ცოდვათა. მოველი აღდგომასა მკუდრეთით, და ცხოვრებასა მერმისა საუკუნისასა. ამინ.“ ამისა შემდგომად შევიწყნარებ და დავიცავ კანონთა წმიდათა მოციქულთასა, და მრწამს, და აღვიარებ შეიდას მას მსოფლიოსა კრებასა და ადგილობრითთა კრებათა, რომელნიცა შეკრბენ მართლმადიდებლობისა დასამტკიცებელად; ესჯერვარ და აღვიარებ მათსა მას კანონსა და წესსა წმიდათა მამათასა, რომელიცა მღუდელთა და მამათა ჩუენთა დააწესეს და დამტკიცეს ჟამსა და წელსა მას; რაოდენიცა მათ სთქუეს და ჰრწმუნათ, მეცა ესჯერვარ და აღვიარებ, და რაოდენიცა მათ განავდეს, მეცა განვაგდებ. კულად აღვიარებ წმიდათა ეკლესიათა მშვიდობასა და შევიწყნარებ და არცა ერთსა განდგომილებისა საქმესა შემოვიღებ; ვიდრემდის ესცხოვრობ ყოველთავე შევივრდები და ხელდადებულ ვიქმნები თქუენ სანატრელსა და ყოვლად წმიდასა მამასა ჩუენსა და მამათმთავარსა, სრულიად საქართველოის კათალიკოზპატრიარქსა (სახელი) შევიწყნარებ და აღვიარებ, რომელთა შიშითა ღმრთისაითა და კეთილითა სწავლითა და საღმრთოითა მცნებითა გუისწავეს, ყოვლისა რომელისაშე სიბოროტისა არა ქმნად, რაოდენიცა ძალიმძს ძალითა ღმრთისაითა. კულად დავიცავ რაოდენიცა წმიდათა მამათა ბრძანეს და დააწესეს, მათსა მას წესსა და რიგსა არცა გარდავალ და არცა სხუა რიგად შევიწყნარებ, მათთა მცნებათა და ამათ ყოველთავე ესრეთ აღვიარებ. კულად რაოდენიცა მცნებაი და სწავლაი არს ჩუენ ზედა თქუენ სანატრელისა და ყოველთა თქუენთა მღუდელთმთავართა და ტახტისა თქუენისა და ძალითა თქუენითა და შეწვენითა მამათმთავრობისა თქუენისაითა, მასცა აღვიარებ მადლითა ღმრთისაითა, რომელსაცა შუენის ყოველი დიდებაი, პატივი და თაყუანისცემაი, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“

ხოლო ზეადღებებს კათალიკოზი და



აკურთხევს ჯუარისა გამომსახუელი, ახალ გამორჩეულსა მას, მეტყუელი:

მადლი ყოვლად წმიდისა სულისა იყავნ შენ ზედა.

კულად მოყვანებად იქმნების მომყვანებელთა მათგანვე გამორჩეული იგი და დადგინებულ საშუალ არწივისა ზედა პროტოდიაკონი იტყვის ხმამაღლად:

მოაყვანების ღვთისმოყვარე... (იხილვე ზემოდ). ხოლო მარჯუენით მდგომარე კათალიკოზისა მღვდელთმთავარი ეტყვის გამორჩეულსა მას:

გამოგვიცხადე მტკიცედ სიტყუაი ეგვი, თუ ვითარ აღიარებ სამეფომოყვანებასა მიუწდომეკისა ღვთაებისას?

ხოლო გამორჩეული იგი მიუგებს და იტყვის მაღლითა ხმითა სასმენელად ყოველთა მგორებსა მას წყრილსა, ჰყრობილსა ხელთა შინა თვისთა:

„მრწამს ერთი ღმერთი, სამეფამოყვანებით ცნობილი, მამასა ვიტყვი და ძესა და სულსა წმიდასა, პირებით განყოფილად თვისთვისად, ხოლო განუყოფელად არსებითა, რამეთუ სამებაი ესე ერთი არს არსებითა და ბუნებითა, ხოლო პირებითა თვითოეულად სახელიდების მამა, ძე და სული წმიდა. მამა უშობელი და დაუსაბამოი, რამეთუ არავინ არს უმთავრეს მისა და იგი არს ქვეშარტლად ღმერთი დაუსაბამოი, რამეთუ არავინ არს დასაბამ მისა, არამედ მხოლოდ თვით არს დასაბამ ყოველთა. მრწამს ქვეშარტლად, ვითარმედ მამა არს მიზეზი ძისა და სულისა წმიდისა, რამეთუ ძისა მშობელი არს და სულისა წმიდისა გამომავლინებელი. არცა განყოფის არსებითა და არცა შეერთდების გუამებითა, არამედ მხოლოდ პირებითა განყოფილ არიან ესრეთ: რამეთუ მამაი ჰშობს ძესა და გამომავლინებს სულსა წმიდასა, ხოლო ძე იშვების მხოლოდ მამისაგან და სული წმიდაი გამოვალს მხოლოდ მამისაგან. რამეთუ ამათსა ერთმთავრობასა აღვიარებ და მიზეზად ვიცნობ მამას ძისა და სულისა წმიდისად. ძესა ვიტყვი პირველ სატყუნეთა მამისაგან შობილად და ყოველთაგან მოუკლებელად, არა დაბადებულად, ნუ იყოფინ, ვითარცა არიან სხუანი დაბადებულნი, არიანოსთა მწუალებელთა წუალებისაგებ და თქმულთა მათთა, არამედ მე ესრეთ ვიტყვი, ვითარმედ არს ძე დაუსაბამოისაგან მამისა, რათა არა ითქუეს ორთავე დასაბამობ ი; ეგრეთვე სულისა წმიდისასა, რამეთუ ამათ ორთავე აქუს მამისაგან არსებაი, ხოლო ძე შობილ არს და სული წმიდა გამოვალ, ვითარცა ზემო გვითქუამს, რამეთუ მამა არა განყოფის ძისაგან და არცა ძე სულისა წმი-

დისაგან, არცა სული წმიდა მამისა და ძისაგან; ვითარცა სრული არს მამაი ძისა და სულისა წმიდისა თანა, ეგრეთვე სრული არს ძე მამისა და სულისა წმიდისა თანა, ეგრეთვე სრული არს სული წმიდაი მამისა და ძისა თანა, შეერთებული შეერთებითა არსებისათა და განყოფილი განყოფითა გუამებისათა. აღვიარებ სიტყუასა ღმრთისასა, რომელი არსებითა მამისა თანა პირველსაუკუნეთა მოუკლებელად მარადის მყოფ არს და გარდამოხდა ბუნებისა ჩუენისა შემოსად და დამდაბლდა, ვითარცა კაცი, და ხორციანი შეისხნა უბიწოისა და მარადის ქალწულისა სისხლთაგან, რათა ყოველსა სოფელსა მოწყალებითა თვისითა ცხოვრებაი მოანიჭოს; და იქმნა საღმრთოისა და კაცებისა ბუნებათა შეერთებითა ერთ, ვინაით გან სიტყუაი იგი გარდამოხდა საშოსა ქალწულისასა, არცა ღმრთეებაი მოაკლდა ხორცთშესხმასა ქრისტესსა და არცა განხორციელებაი მისი მოაკლდა ღმრთეებისაგან, არამედ იქმნა ორთავე შეერთებაი ერთ. ამისთვის განვეშორები წუალებასა ნესტორისსა, არცა ვიტყვი უსულოდ და უგონებოდ, ვითარცა იტყოდა აპოლინარი, რამეთუ იგი იტყოდა კმა არსო მის შორის მხოლოდ ღმრთეებაი უსულოდ და უგონებოდ. ხოლო მე ესრეთ აღვიარებ ღმრთად სრულად, რომელიცა განხორციელდა სიტყუაი ღმრთისაი და მიიღო ხორცი სულიერი და სული გონიერი და სიტყვიერი, რამეთუ ღმრთეებისა და კაცებისა ბუნებისა ყოველივე მას შინა დამკვიდრებულ არს. რამეთუ არა მოკლებულ არს ღმრთეებაი კაცებისა თანა შეერთებითა და არცა კაცებაი ღმრთეებასა თანა, რამეთუ ერთსა გუამსა შინა ორი ბუნებაი იხილვების: ღმრთეებისაი და კაცებისაი. ესრეთ მრწამს და ესრეთ აღვიარებ იესო ქრისტეს განხორციელებასა და ვიტყვი, ვითარმედ ქრისტემან ივნო ხორციითა და არა ღმრთეებითა, რამეთუ ქრისტესა კაცობრივისა ბუნებისა საქმე ყოველივე აქუნდა თვინიერ ცოდვისა: ზოემშია, მოეწყურა, დაშურა, სტრუმლოდა და მსგავსნი ამისნი; არა იძულებით ვისგანმე ჰყოფდა ამას, არამედ ნებსით მოიმშია, ნებსით მოიწყურა, ნებსით დაშურა და ნებსით მოკუდა, რამეთუ ნებსით ინება სიკუდილი ხორციითა კაცობრივითა, არამედ ღმრთეებაი ეგო უვნებელად. მას რად ენება სიკუდილი, არამედ ჩუენთვის დაითმინა სიკუდილი, რათა ჩუენ გამოგვიხსნას უძღებისა მისაგან სიკუდილისა და თვისითა სისხლითა მიმგუარნეს ჩუენ მამასა თვისსა. კაცობრივითა ხორციითა ინება სიკუდილი და მოკუდა, ხოლო ღმრთეებისა ძალი შთაბდა ჯოჯოხეთად, რათა მას

შინა დასჯილნი სულნი გამოიხსნენ; და შემდგომად აღდგომისა დღესა ორმოცსა ქუეყანასა ზედა იქცეოდა მოციქულთა თანა, ამისა შემდგომად ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა. ხოლო მარჯუენესა ვიტყვი მამისასა არა აღვილსა რასმე: მარჯუენე ღმრთისაი არს დაუსაბამოობაი და პირველსაუკუნეთა დიდებულთაი, რომელი აქუს ძესა ღმრთისასა მამისა თანა პირველ განკაცებისა და შემდგომად განკაცებისა იგივე აქუნდა და თაყუანის იცემების წმიდითა ხორციითა თვისითა ღმრთეებისა თანა შეერთებული და პატრივით თაყუანის ცემული. ხოლო მეოთხე პირი არა ითქმის წმიდისა სამებისაი, ნუ იყოფინ, რამეთუ სამებაი იგი სამებადვე ჰგვის, ხოლო შეერთებასა ვიტყვი მხოლოდ შობილისა ძისასა, რამეთუ შეერთებითა ღმერთებისაი თა კაცობრივისა ბუნებისა შეერთებაი განუშორებელად ჰგვის ღმრთეებისა თანა უკუნისამდე. შემდგომად ამისა მოვლს განსჯად ცხოველთა და მკუდართა, მართალთა და ცოდვილთა; ხოლო მართალთა მისცემს მოღუაწებისა თვისისა სსყიდელსა ზეცისა სასუფეველსა, რომელნიც კეთილთა მოღუაწებითა აღესრულნენ; ხოლო ცოდვილთა საუკუნესა სატანჯველსა და ცეცხლსა გვენიისასა მოუკლებელსა, რომლისაგან განგუაშორნეს ჩუენ ღმრთი მან და ღირსმყენეს ჩუენ, რომელი აღვეითქუა მოცემად სასუფეველი ქრისტე იესოსი მიერ უფლისა ჩუენისა ამინ“.

ხოლო აღდგების მარჯვენით მჯდომარე მღვდელთ-მთავარი და აკურთხევს ჯუარისა გამომსახველი ახალ გამორჩეულსა მას ზედა და მეტყუელი:

„მადლი ყოვლად წმადისა სულისაი იუანე შეთანა განმანათლებლად, დამამტკიცებლად და განმამბრძობლად ყოველთა დღეთა ცხოვრების შენისათა“.

კუალად მოყვანებულ იქმნების მომყვანებელთავე მათგან გამორჩეული იგი და დადგინებულ ვიდრე თავადმდე არწივისა. ხოლო პროტოდიაკონი ჰქადაგებს მესამესა მოყვანებასა:

მოაყვახების ღუთის მოყუარე... (იხილე ზემოდ). შემდგომად ამისა ეტყვის გამორჩეულსა მას მღუდელთ-მთავარი მესამე, მარცხენით მჯდომარე კათალიკოზისა:

„გამოგვიცხადე მტკიცედ, თუ ვითარ აღიარებ ერთსა პირსა ძისა და სიტყვისა ღმრთისასა, ანუ რაოდენსა ბუნებას აღიარებ უფლისა იესო ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისასა?“

ხოლო გამორჩეული იგი იტყვის მაღლითა ხმითა მესამესა ამას აღსარებასა:

„მრწამს ერთი ღმერთი, მამაი, მკურობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, დაუსაბამოი, უშობელი და უმიზეზოთ, ხოლო დასაბამი და მიზეზი ბუნებითა ძისა და სულისა წმიდისაი მრწამს ხოლოდ შობილი ძე, მისგან პირველ საუკუნეთა შობილი და თანაარსი, რომლისა მიერ ყოველი შეიქმნა. მრწამს სული წმიდაი, რომელი მამისაგან გამოვალს და ილიდების, თანასწორი და თანაარსი და თანამოსაყდრე, ერთპატივი, ერთიღებაი და ყოველთა დაბადებულთა და მბადებელი. მრწამს ერთი სამებისაგანი უზესათესი ყოველთა დაბადებულთაი; მხოლოდ შობილი სიტყუაი, რომელი გარდამოხდა ზეცით ჩუენ კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის, ხორციი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცნა, ესე იგი არს, ვითარმედ სრული ღმერთი და სრული კაცი იშუა და არა იცვალა ღმერთებისა არსებაი შეერთებითა ხორცისაითა, არამედ განუყოფელად შეერთდა ხორცითა, ხოლო ხორცითა მით ჯუარცუმაი დაითმინა, რამეთუ ყოველთა ვნებათაგან განთავისუფლებულ არს ღმრთეების ბუნებაი. აღსდგა მესამესა დღესა მკუდრეთით, ამაღლდა ზეცად და დასჯდა მარჯუენით ღმრთისა და მამისა. მრწამს ღმრთისა მიერ მონიჭებული ერთი წმიდაი, კათალიკე და სამოციქულო ეკლესიაი. აღვიარებ ერთსა მას ნათლის ღებასა მოსატეველად ცოდვთა. მოველი აღდგომისა მკუდართასა და ცხოვრებასა მერმისა საუკუნისასა ამინ. კუალად მრწამს და აღვიარებ შემდგომად განხორციელებისა ქრისტესსა ორსა ნებასა: ღმრთეებისა და კაცებისასა. თაყუანის ვსცემ სარწმუნოებით ხატსა ქრისტესსა და ყოვლად უბიწოისა ღმრთისა დედისასა და ყოველთა წმიდათასა, რამეთუ ხილულისა მის ხატისა პატივი აღიწვევის პირმშოისა მის ხატისადმი ზეცათა შინა წინაშე მისსა. ხოლო რომელნიმე სხუანი უცხოდ და სხუად რადმე იტყვიან, გარნა მე სიტყუათა მათთა განვაგდებ და შევაჩუენებ. დედოფალსა ქალწულსა ღმრთისმშობლად აღვიარებ და ვიტყვი: რომელმან ერთი სამებისაგანი ხორციითა გვიშვე, ქრისტე ღმერთი ჩუენი, შეწვენითა სულისა წმიდისაითა მექრენ მე შემწედ, მკუელად და მფარველად ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა ამინ.“

(დასასრული იქნება)

რედაქტორი: სარედაქც. კოლეგია.